ISSN 1512-1801

The 2nd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

# სიმულაციური გაკვეთილი წერითი უნარების განვითარებისთვის

ეკა ცხადაია
ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის #2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

***ანოტაცია***

*ნაშრომი ,,სიმულაციური გაკვეთილი წერითი უნარების განვითარებისთვის" წარმოადგენს დაწყებით საფეხურზე განხორციელებული სასწავლო აქტივობების აღწერას. განხილულია გაკვეთილებსა და საშინაო დავალებებში მოსწავლეთა პრობლემები. გადმოცემულია სიმულაციური სიტუაცია, რომლის განხორციელებით მასწავლებელმა შეძლო წერითი უნარების განვითარება. კონკრეტულად, ნაცნობ თემებზე არამხატვრული ტექსტის შეთხზვა, მოსმენილისა და ნანახის დაკავშირება პირად გამოცდილებასთან. ნაშრომში აღწერილია სიმულაციური გაკვეთილის პროცესი. ნაჩვენებია შედეგი, შესაბამისობა ერვნულ სასწავლო მიზნებთან.*

***საკვანძო სიტყვები:*** *სიმულაციური გაკვეთილი, წერითი უნარები, სასწავლო აქტივობები*

***შესავალი:*** თანამედროვე სამყაროში არსებული გამოწვევები ზემოქმედებენ სასწავლო პარადიგმებზე. ამიტომ სწავლების შინაარსის გარდა, მასწავლებელმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს იმ ხერხებსა და მეთოდებს, რომლებიც მათ უფრო ადვილად და ხალისით აათვისებინებს შინაარსს. მეთოდების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად მათ ადეკვატურ შერჩევაზეა დამოკიდებული. პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების თვალსაზრისით თანამედროვე მასწავლებლებს მოეთხოვებათ XXI საუკუნის სწავლების მოდელების ცოდნა, რაც საკითხების ზუსტი აღქმისა და გაგებისათვის ფიზიკური და ვირტუალური მოდელების შექმნასაც გულისხმობს.

*აღმოჩენებით სწავლა* კონსტრუქტივისტული თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სწავლა აქტიური პროცესია, რომელშიც მოსწავლეები აგებენ ახალ ცოდნას არსებულზე დაყრდნობით, განიმტკიცებენ ძველს. ეს მეთოდი ეფექტურია, როცა მას მასწავლებელი მართავს. მასწავლებელი გეგმავს და აძლევს ისეთ დავალებებს, რომლებიც მოსწავლეებს მანიპულირების და გამოკვლევების შესაძლებლობას მისცემს.

***პრობლემა:*** მოგეხსენებათ, დაწყებით საფეხურზე გამომუშავებული უანრ-ჩვევები განაპირობებენ ზედა საფეხურებზე წარმატებულ სწავლებას. ამიტომ მნიშვნელოვანია მასალის სიღრმისეულად წვდომა, ცნებებში გარკვევა, საკუთარი სწავლის ორგანიზების ხელშეწყობა. ამ საფეხურზე საგანთა ინტეგრირების გამო ქართულის კურსი მოიცავს ისტორიის, ხელოვნებისა და ხანდახან ბუნებისმცოდნეობის მასალებს.

ISSN 1512-1801


ბავშვებს კი უჭირთ გაკვეთილსა თუ საშინაო დავალებებში ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა, მხოლოდ ტექსტებზე დაყრდნობით მასალის გათავისება. მით უფრო, თუ ტექსტი არამხატვრულია, საგანთაშორის კავშირის აღმოჩენა და მცირე არამხატვრული ტექტის შეთხზვა. ამიტომ ხშირად მივმართავ სხვადასხვა აქტივობებს, ვქმნი ელექტრონულ რესურსებს, ვცდილობ მასალის ვიზუალიზაციას, მარტივ, სიმულაციურ ექსპერიმენტებს.

***მეთოდი*** **:** როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ცოდნის ეფექტურად აგებაში? შეიძლება შევქმნათ სიმულაციური სიტუაციები, რომლის დროს მოსწავლეებს ექნებათ ექსპერიმენტების ჩატარების შესაძლებლობა. სიმულაცია გულისხმობს რეალობასთან იდენტური ხელოვნური სიტუაციის შექმნას, ის რეალობის გათამაშებაა. სიმულაცია მოსწავლის მონაწილეობით საუკეთესოა რთული, პრობლემური, ძნელად გასაგები თემების დამუშავებისას.

მიზნის მისაღწევად, ჩავთვალე, რომ საინტერესო იქნებოდა არქეოლოგიური გათხრების სიმულაცია. ეს გახდათ ბოლო ეტაპი ჩვენი გაკვეთილისა. მანამდე გამოვიყენეთ: ფილმისა და ტექსტის შედარება, კოგნიტური სქემები: ,,ვიცი, გავიგე, მინდა გავიგო",,,მსგავსება-განსხვავება". შევასრულეთ ჩემ მიერ შექმნილი სპეციალურად ამ გაკვეთილისთვის შექმნილი სახალისო ტესტი (Powerpoint ფორმატის) შემდეგი ეტაპი გახლდათ სიმულაციური არქეოლოგიური გათხრები, რომლის შემდეგ დავწერეთ ჯგუფური წერა. ჯგუფებმა აღწერეს მათ მიერ შესრულებული სამუშაო. ტექსტი გახლდათ ინფორმაციული ხასიათის, არამხატვრული. ამ შემთხვევაშიც გამოვიყენეთ კოგნიტური სქემა: ,,ჯერ, შემდეგ, ბოლოს". დავალების სწორად შესრულებაში კი დაეხმარათ სწორედ არქეოლოგიური გათხრების სიმულაცია.

***თემა:*** მე-4 კლასში მოსწავლეები სწავლობენ ალტამირას გამოქვაბულის საიდუმლოებას. (,,უძველესი ნახატები"ჯურხა ნადირაძის მოთხრობების მიხედვით)მათ ლექსიკაში მკვიდრდება უცხო ტოპონიმები, გეოგრაფიული და სხვადასხვა ტერმინები: არქეოლოგია, რესტავრაცია და ა.შ. მხოლოდ ახსნით ვერ იმახსოვრებენ მათ მნიშნელობებს, მით უფრო, პერსონაჟთა საქმიანობის ფორმას. იდეა, სიმულაცია გამომეყენებნა წერითი უნარების (მცირე ზომის აღწერითი თუ კვლევითი ტექსტები) განვითარებისთვის, დაიბადა გაკვეთილის მსვლელობისას. როცა ავხსენი ტექსტში ნახსენები არქეოლოგის მნიშვნელობა, მომიწია, ამ საკითხზე უფრო მეტი ყურადღება შემეჩერებინა. მათ ჰქონდათ უამრავი კითხვა, როგორ ეძებენ, რატომ ეძებენ, სად მიაქვთ ნაპოვნი.

იმისთვის, რომ სპეციფიკური, არამხატვრული, მარტივი სამეცნიერო ტექსტი გაეაზრებინათ და თვითონაც შეექმნათ, გადავწყვიტე ჩამეტარებინა სიმულაციური გაკვეთილი ,,არქეოლოგობანა".

***გაკვეთილის მიზანი:***

- მოსწავლეებს შესძლებოდათ მათთვის ნაცნობი თემების შემცველი სხვადა-სხვა სახის არამხატვრული ტექსტების (რეკლამის, სა-ყმაწვილო ჟურნალის გან-ცხადების, საყმაწვილო ენციკლოპედიის სტატიისა და სხვ.) წაკითხვა და გაგება.(***ესგ ქართ. IV. 5***)

ISSN 1512-1801


- შეეთხზათ სხვადასხვა სახის მცირე ზომის ტექსტები.( *ესგ. ქართ. IV. 11.)*
- სოციალური უნარების(გუნდური მუშაობა, სხვისი აზრის გაზიარება)უნარების გავითარება, ლექსიკური კომპეტენციის განვითარებას,
- მოსმენილი ან წაკითხული მხატვრული ნაწარმოების დაკავშირება პირად გამოცდილებასთან; წინარე ცოდნის ახლით შევსება,

***პროცესი:*** პირველი ეტაპზე, ვნახეთ ჩემ მიერ შექმნილი პატარა საინფორმაციო ფილმი ალტამირას გამოქვაბულზე.(http://youtu.be/be2ztuwZw_Q) შემდეგ დავამუშავეთ ტექსტი. ამ თემას ეთმობა 3 საგაკვეთილო საათი. ჩვენ დავუთმეთ მეტი. დაწყვილებულ გაკვეთილზე გავაკეთეთ ტექსტის ანალიზი, ფილმისა და ტექსტის შედარება (T სქემა: მსგავსება -განსხვავება), ,,ვიცოდი, გავიგე, მინდა გავიგო". წყვილებში გავაკეთეთ სახალისო ტესტი წაკითხულის გააზრებისთვის http://apriori2014.blogspot.com/p/blog-page_18.html.
შინ სამუშაოდ მიეცათ, მეტი ინფორმაცია გაეგოთ არქეოლოგიაზე. გათხრებისთვის საჭირო,, სამუშაო იარაღების" ორგანიზება გავაკეთე მე. მოსწავლეები ძალიან დაინტერესდნენ არქეოლოგიური და რესტავრაციის ამბებით. გაარკვიეს, როგორ ხდება სამუშაოს ორგანიზება, რა სამუშაო იარაღებს გამოიყენებენ არქეოლოგები და რესტავრატორები.აქაც გამოვიყენეთ ჩემ მიერ შექმნილი ელექტრონული რესურსი რას იყენებენ არქეოლოგები გათხრებზე. http://apriori2014.blogspot.com/p/blog-page_18.html დავგეგმეთ ,,გათხრების" ჩატარება. იდეა ეკუთვნოდა მასწავლებელს, ბავშვები ჩაერთვნენ ენთუზიაზმით. სურვილის მიიხედვით დაიყვნენ რესტავრატოებად და არქეოლოგებად. გვყავდა ფოტოგრაფი და მხატვარი. საგანგებოდ შერჩეულ ადგილზე გავაკეთეთ მოდელირებული არქეოლოგიური ტერიტორია. ამაში მე-4 კლასელები არ მონაწილეობდნენ. დავიხმარიე უფროსკლასელები და ისტორიის მასწავლებელი. გათხრები ჩავატარეთ შემდეგ დაწყვილებულ გაკვეთილზე.

წინარე ცოდნზე დაყრდნობით ( სახელმძღვანელო, საბავშვო ენციკლოპედია, ფილმი) ჯგუფებს დაურიგდათ სამუშაოდ საჭირო სამუშაო ინსტრუმენტები: ,,არქეოლოგებმა" ფუნჯები, პატარა ბარები, სათხრელი ინსტრუმენტები, ყუთები, ხელთათმნები. ,,რესტავრატორებმა": წებო, თაბაშირი, ქაღალდი.

გამოიყენეს რა წინარე ცოდნა, ბავშვებმა კვადრატებად დაჰყვეს ტერიტორია. გათხრებისას ,,ნაპოვნი" თიხის ჭურჭლის ნაშთები, მძივის ნაწილები ფრთხილად ჩააწყვეს ყუთებში და გადაიტანეს ,,სარესტავრაციოდ". ასევე ხალისით გააკეთეს რესტავრაცია. აღადგინეს თიხის ქოთანი. მესამე ეტაპი ამ გაკვეთილისა გახლდათ ჩატარებულ სამუშაოზე მცირე ზომის ჯგუფური თხზულების შექმნა. ბოლოს მოაწყვეს ნაპოვნი და აღდგენილი ნივთების გამოფენა, რომელზეც ,,გიდმა" დამთვალიერებლებს (მშობლებსა და დირექციას) გააცნო ნაპოვნის ისტორია. გამოყენა ჯგუფის შექმნილი საინფორმაციო ტექსტი.

***შედეგი:*** მოსწავლეებმა აქტიურად გამოიყენეს წინარე ცოდნა. სრულყოფილად ჩასწვდნენ ნახსენები სიტყვების არსს, შექმნეს მოდელი ტექსტში წარმოდგენილი სიტუაციის. ნასწავლი დაუკავშირეს პირად გამოცდილებას; განივითარეს სოციალური

ISSN 1512-1801


უნარები განივითარეს ლექსიკური კომპეტენციები. შესაფერისი ლექსიკის გამოყენებით შეადგენს მარტივი დარგობრივი ტექსტი (არქეოლოგებმა და რესტავრატორებმა შესრულებული სამუშაოს მარტივი ანალიზი, ,,გიდმა" ნაპოვნი და აღდგენილი ნივთების ფუნქციური დანიშნულების, შედგენილობის შესახებ)

*დასკვნა:*

მასწავლებლის დასახული ამოცანა, გაეაზრებინათ ტექსტი. განევითარებინათ ზეპირი და წერითი მეტყველების უნარები, გამოეყენებინათ წინარე ცოდნა, დაეგეგმათ საკუთარი საქმიანობა, ნასწავლი პირად გამოცდილებასთან დაეკავშირებინათ, მიღწეულ იქნა.მოსწავლეებს მიეცათ საშუალება სიმულაციური გაკვეთილით ჩაეტარებინათ მარტივი ექსპერიენტი. კლასი იყო მოტივირებული, ენთუზიაზმით დამუხტული.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მშობელთა და კოლეგებთა დაინტერესება.

კოლეგებთა და მშობელთა ურთიერთანამშრომლობა სწორი პედაგოგიური მიდგომებისა და ჯანსაღი სასწავლო კლიმატის საწინდარია, რაც, ასევე, ამ გაკვეთილის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. კონსტრუქტივიზმი- ,,განვითარებისა და სწავლების თეორიები". მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი -2008წ.
2. XXI საუკუნის მასწავლებლის გამოწვევები. -თეო ნეფარიძე. ინტერნეტჟურნალი ,,მასწავლებელი" http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=578
3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება
(2007) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.
4. ეროვნული სასწავლო გეგმა.
5. Какие навыки и знания нужны в 21 веке. 9 принципов новой образовательной модели http://freeedu.ru/modx/kakie-navyiki-i-znaniya-nuzhnyi-v-21-veke